სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს დირექტორის
2026 წლის 03 ივლისის N02-09/33 ბრძანების
დანართი N1

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს სატელევიზიო მაუწყებლობისათვის პროდუქციის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული საჯარო კონკურსის პირობები

1. **კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებებით:**

ა) შემეცნებით-გასართობი გადაცემა ან რუბრიკა

- გადაცემების რაოდენობა - გადაცემათა ციკლი, რომელიც შედგება 18 ეპიზოდისგან, ხოლო რუბრიკის რაოდენობა - 32;
- ეთერში გასვლის პერიოდი - 2026 წლის 14 სექტემბრიდან 2026 წლის დეკემბრის ბოლომდე;
- პერიოდულობა - კვირაში ერთი გადაცემა/რუბრიკა - ერთი/ორი;
- ხანგრძლივობა - გადაცემა 30/40 წთ, ხოლო რუბრიკა - 5/10 წთ.

ბ) სპორტული თოქ-შოუ

- ეთერში გასვლის პერიოდი – 2026 წლის 14 სექტემბრიდან 2026 წლის დეკემბრის ბოლომდე;
- პერიოდულობა - კვირაში 5 გადაცემა;
- ხანგრძლივობა - 40/45 წთ.

გ) სამედიცინო თოქ-შოუ

- ეთერში გასვლის პერიოდი - 2026 წლის 14 სექტემბრიდან 2026 წლის დეკემბრის ბოლომდე;
- პერიოდულობა -კვირაში 5 გადაცემა;
- ხანგრძლივობა - 40/45 წთ.

მოთხოვნა: პროექტი უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის მისიას და პროგრამულ პრიორიტეტებს.

2. პროექტების შეფასების კრიტერიუმები

I **ეტაპი - პროექტის კონცეფციისა და ფორმატის შეფასება.**
სატელევიზიო პროექტები ფასდება 100-ქულიანი სისტემით შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
ა) პროექტის ორიგინალურობა და კრეატიულობა - 20 ქულა (რამდენად ახალი, საინტერესო და გამორჩეულია პროექტის იდეა);
ბ) პროქტის აქტუალობა - 20 ქულა (შესაბამისობა ტელეაუდიტორიის მოთხოვნებთან);

გ) პროექტის ორგანიზება და ადმინისტრირება - 10 ქულა;
დ) შემოქმედებითი ჯგუფის გამოცდილება - 30 ქულა (გუნდის პროფესიული დონე და შესაბამისი გამოცდილება);
ე) ბიუჯეტის დასაბუთება - 20 ქულა (რამდენად საფუძვლიანად და არგუმენტირებულად არის შედგენილი ბიუჯეტი).

მეორე ეტაპზე გადადის მხოლოდ ის პროექტი, რომელმაც პირველ ეტაპზე თითოეული კრიტერიუმისთვის დადგენილი მაქსიმალური ქულის ნახევარზე მეტი დააგროვა.

II ეტაპი - საპილოტე გადაცემის შეფასება.
საპილოტე გადაცემები ფასდება **100 - ქულიანი სისტემით** შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
ა) გადაცემის შესაბამისობა პროექტის კონცეფციასა და ფორმატთან (შინაარსობრივი, ხარისხობრივი და ტექნიკური პარამეტრები და მაჩვენებლები) - 40 ქულა;
ბ) პროექტის ხარისხობრივი მაჩვენებლები (გადაცემის მხატვრული და პუბლიცისტური ღირებულების და შემოქმედებითი ჯგუფის: ავტორის, პროდიუსერის, წამყვანის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რეჟისორის, ოპერატორის, მხატვარ დიზაინერის, მუსიკალური გამფორმებლის და სხვ. შეფასება) - 40 ქულა;
გ) ტელეაუდიტორიის მოთხოვნებთან შესაბამისობა (რამდენად აკმაყოფილებს წარმოდგენილი გადაცემა მიზნობრივი აუდიტორიის მოთხოვნებს) - 20 ქულა.

დამატებითი პირობები:
შესყიდული პროდუქცია გადაცემის/მიღების მომენტიდან ხდება მაუწყებლის ექსკლუზიური საკუთრება, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მის მიერ შექმნილ პროდუქციაში მესამე პირთა საავტორო უფლებების დაცვაზე (მუსიკა, კადრები, შრიფტები). დარღვევის შემთხვევაში, სრული სამართლებრივი და ფინანსური პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია:
1. განცხადება;
2. პროექტის კონცეფცია;
3. პროექტის ავტორის (ფიზიკური პირი - იურიდიული პირი) შესახებ ინფორმაცია;
4. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი/ ამონაწერი რეესტრიდან;
5. ინფორმაცია შემოქმედებითი ჯგუფის შესახებ;
6. ხარჯთაღრიცხვა;
7. საპილოტე ვერსია (შეფასების მე-2 ეტაპზე).

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს დირექტორის
2026 წლის 03 ივლისის N02-09/33 ბრძანების
დანართი N2

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს რადიო მაუწყებლობისათვის პროდუქციის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული საჯარო კონკურსის პირობები

1. კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებებით:

ა) შემეცნებით-გასართობი რუბრიკა - ტურიზმის მიმართულება

რუბრიკის მიზანია აჭარის რეგიონის ტურისტული პოტენციალის, ცნობადი და ნაკლებად ცნობილი ლოკაციების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და სათავგადასავლო მარშრუტების პოპულარიზაცია.

- ეპიზოდების რაოდენობა - 36;
- ეთერში გასვლის პერიოდი - 2026 წლის 14 სექტემბრიდან 2026 წლის დეკემბრის ბოლომდე;
- პერიოდულობა - კვირაში 2-ჯერ;
- ხანგრძლივობა - 5–7 წუთი.

ბ) შემეცნებით-გასართობი გადაცემა/რუბრიკა - ხელოვნების მიმართულება

(სახვითი, საშემსრულებლო, ლიტერატურა, კინო, თანამედროვე ციფრული ხელოვნება და სხვა.)

- გადაცემათა ციკლი - 18 გადაცემა და 18 რუბრიკა;
- ეთერში გასვლის პერიოდი - 2026 წლის 14 სექტემბრიდან 2026 წლის დეკემბრის ბოლომდე;
- პერიოდულობა - კვირაში ერთი გადაცემა და ერთი რუბრიკა;
- გადაცემის ხანგრძლივობა - 15-18 წუთი;
- რუბრიკის ხანგრძლივობა - 5-7 წუთი.

გ) შემეცნებით-გასართობი გადაცემა/რუბრიკა - ჯაზის მიმართულება

- გადაცემათა ციკლი - 18 გადაცემა და 18 რუბრიკა;
- ეთერში გასვლის პერიოდი - 2026 წლის 14 სექტემბრიდან 2026 წლის დეკემბრის ბოლომდე;
- პერიოდულობა - კვირაში ერთი გადაცემა და ერთი რუბრიკა;
- გადაცემის ხანგრძლივობა - 15-18 წუთი;
- რუბრიკის ხანგრძლივობა - 5-7 წუთი.

მოთხოვნა: წარმოდგენილი პროექტი უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის მისიას, ღირებულებებსა და პროგრამულ პრიორიტეტებს.

2. რადიოპროექტების კონცეფციისა და ფორმატის შეფასება:

I ეტაპი - პროექტები ფასდება 100-ქულიანი სისტემით:

-პროექტის ორიგინალურობა და კრეატიულობა - **20 ქულა**;

-პროექტის აქტუალობა - **20 ქულა**;

-პროექტის ორგანიზებისა და ადმინისტრირების ხარისხი - **10 ქულა**;

-შემოქმედებითი ჯგუფის გამოცდილება - **30 ქულა**;

-ბიუჯეტის დასაბუთება - **20 ქულა**.

მეორე ეტაპზე გადადის მხოლოდ ის პროექტი, რომელმაც პირველ ეტაპზე თითოეული კრიტერიუმისთვის დადგენილი მაქსიმალური ქულის ნახევარზე მეტი დააგროვა.

II ეტაპი - საპილოტე გადაცემები ფასდება 100-ქულიანი სისტემით:

-გადაცემის შესაბამისობა წარმოდგენილ კონცეფციასა და ფორმატთან (შინაარსობრივი, ხარისხობრივი და ტექნიკური პარამეტრები) - **40 ქულა**;

-გადაცემისა და შემოქმედებითი ჯგუფის პროფესიული ხარისხი - **40 ქულა**;

-მიზნობრივი აუდიტორიის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **20 ქულა**.

დამატებითი პირობები:

შესყიდული პროდუქცია გადაცემის/მიღების მომენტიდან ხდება მაუწყებლის ექსკლუზიური საკუთრება, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მის მიერ შექმნილ პროდუქციაში მესამე პირთა საავტორო უფლებების დაცვაზე (მუსიკა, კადრები, შრიფტები). დარღვევის შემთხვევაში, სრული სამართლებრივი და ფინანსური პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. პროექტის კონცეფცია;
3. პროექტის ავტორის (ფიზიკური პირი - იურიდიული პირი) შესახებ ინფორმაცია;
4. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი/ ამონაწერი რეესტრიდან;
5. ინფორმაცია შემოქმედებითი ჯგუფის შესახებ;
6. ხარჯთაღრიცხვა;
7. საპილოტე ვერსია (შეფასების მე-2 ეტაპზე).